



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,  
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის  
ბრძანება № MOH 4 23 00000171

ქ. თბილისი

08/05/2023 წელი



**„ცერებრული დამბლის (ცდ) დიაგნოსტიკა და მკურნალობა“ - კლინიკური  
მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტის (პროტოკოლის) დამტკიცების  
თაობაზე**

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის №473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად,

**ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს „ცერებრული დამბლის (ცდ) დიაგნოსტიკა და მკურნალობა“ - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) თანდართული დანართის შესაბამისად.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ცერებრული დამბლა“ - კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციისა (გაიდლაინი) და კლინიკური მდგომარეობების მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2008 წლის 18 დეკემბრის №278/ო ბრძანება.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი  
ზურაბ აზარაშვილი

ხელმოწერილია/  
შტამპდანიშნულია  
ელექტრონულად

